new media group

Tbilisi, Georgia, 39. Berdznis Str; Company ID 404887949; TEL: +995 577378777

# სამაუწყებლო კონცეფცია

რადიოს მაუწყებლობის პრინციპი დაფუძნებულია აჭარის ა/რ მოსახლეობის ინფორმირებაზე. შესაბამისად, იგი ორიენტირებული იქნება რეგიონზე, რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, მის პრობლემატიკაზე, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, რეგიონის განვითარების პროცესზე, ასევე ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ მიმდინარე მნიშვნელოვან მოვლენებზე ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებაზე.

რადიო მოცული იქნება სხვადასხვა მედია პროდუქტით - საინფორმაციო, საავტორო გადაცემებითა და მუსიკით.

რადიოს მიზანია:

- მოსახლეობის ინფორმირება და მათთვის ობიექტური და დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდება.
- აჭარის ადგილობრივი მოსახლეობის/საზოგადოების ჩართულობა მედია პროდუქტის შექმნაში.
- რეგიონის ინტერესების წარმოჩინება, აქცენტი პრობლემატიკაზე და მსჯელობა მათი მოგვარების გზებზე. რეგიონის საჭიროებების იდენტიფიცირება. ადგილობრივი სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის წარმოჩინება
- რადიოს ერთერთი პრიორიტეტი იქნება დამწყები ჟურნალისტებისთვის (ადგილობრივი სტუდენტები) თავისუფალი სამუშაო სივრცის გაჩენა, მათი პროფესიული უნარ-ჩვევების და მოტივაციის ამაღლების მიზნით.
- ქართული მუსიკის ტირაჟირება, ფოლკლორისა და სხვა ეროვნული მუსიკალური საგანძურის და მათი ისტორიის პოპულარიზაცია; ეთერში განთავსდება როგორც თანამედროვე და კლასიკური, ასევე ფოლკლორული საგანძურის ნიმუშები. მოხდება რეტრო მუსიკისა და მათი ისტორიების გაცოცხლება. ქართველი ხელოვანების მიერ შექმნილი ნამუშევრების გაცნობა ფართო საზოგადოებისთვის.
- დამწყები და ადგილობრივი მოქმედი შემსრულებელ-მუსიკოსების მხარდაჭერა შემოქმედებითი მოტივაციისთვის. მსმენელთან ინტეგრირება, ინტერაქციული გადაცემების მეშვეობით.

## სტრატეგია

საზოგადოების ჩართულობა მედიაპროდუქტის შექმნის პროცესში, მათთვის საეთერო დროის გამოყოფის მეშვეობით. ამ პროექტის განხორციელებით შეიქმნება სივრცე, სადაც გადაცემების ფორმატის ფარგლებში,სამოქალაქო აქტივობის მქონე, დაინტერესებულ პირს

შეეძლება მისი პოზიციის დაფიქსირება და დისკუსიაში ჩართვა. ეს გადაცემა იქნება საუკეთესო საშუალება ადგილობრივი მოსახლეობისთვის გახდეს სოციალურად აქტიური და ცაერთოს რეგიონში მიმდინარე პროცესებში.

სპეციალურად გამოყოფილი საეთერო დროის მეშვეობით, საშუალება მიეცემა ადგილობრივ დაინტერესებულ ახალგაზრდებს, რომლებიც მედია სფეროში აპირებენ ძალების მოსინჯვას, რადიოს მეშვეობით გააკეთონ ეს. ეს პროექტი მომავალ ჟურნალისტებს მისცემს საშუალებას აიმაღლონ პროფესიული უნარ-ჩვევები, დააგროვონ გამოცდილება და ჩაერთონ რეგიონის პრობლემატიკის ან მიღწევების გასაჯაროვების პროცესში.

რადიოს პრინციპია მაქსიმალურად იყოს მორგებული მსმენელის ინტერესზე, როგორც საინფორმაციო უზრუნველყოფის, ასევე, მუსიკალური, შემეცნებითი, გასართობი მიმართულების მიხედვით. დანერგოს და გაამყაროს, დისკუსიისა და განსხვავებული მოსაზრებების შემთხვევაში მსჯელობის კულტურა.

რადიოს მედია პროდუქტი აბსოლუტურად იქნება ორიენტირებული რეგიონზე, მისი ცხოვრების დინამიკაზე, მოსახლეობის ინტერესებზე და რეგიონში მცხოვრები ყველა ტიპისა და ინტერესის მქონე მსმენელის გემოვნებაზე. ქვემოთ ჩამოთვლილ გადაცემათა ეთერები დაეთმობა სწორედ მათ პრობლემატიკას, ვისაუბრებთ მათ ინტერესებზე, პასუხი გაეცემა მათ მიერ დასმულ შეკითხვებს სხვადასხვა თემებზე, გაიჟღერებს მათ მიერ მოთხოვნილი მუსიკა, შეეძლებათ პირადად მიიღონ მონაწილეობა, როგორც პროდუქციის შექმნაში, ასევე ჩაერთონ გადაცემებში სადაც, ისაუბრებენ რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე, არსებული პრობლემების გადაჭრის გზებზე და მათი წარმოშობის მიზეზებზე.

რადიოს მიზანია, რომ რეგიონის მოსახლეობას არ ჰქონდეს მათსავე რეგიონში მიმდინარე მოვლენებზე ინფორმაციის ნაკლებობა, ექიმისა თუ იურისტის კონსულტაციის დეფიციტი, ჰქონდეს შესაძლებლობა დაგროვებულ შეკითხვებზე პასუხების მოპოვების, გაერთოს სასურველი მუსიკით, უფრო ღრმად ეზიაროს რეგიონის ისტორიას და მოხდეს კულტურული საგანძურის, ფოლკლორის პოპულარიზაცია, სწორედ ეს მედია პროდუქტი მოგვცემს ამის საშუალებას.

## პროგრამირების პრიორიტეტები (პირობითი სახელები)

- ახალი ამბები - news
- დილის შემეცნებით-მუსიკალურ-გასართობი პროგრამა.
- ტურიზმი და ტურისტი რეგიონში
- მუსიკალური ზოლი საერთო ეთერში ( ქართული მუსიკა); ჰიტ-აღლუმი (ქართული, მსოფლიო ჰიტები);
- შეხვედრები და საუბრები სახელოვნებო სფეროს პოპულარულ და საინტერესო ადამიანებთან.
- გადაცემა “საზოგადოებრივი აზრი” სოციალური თემატიკა
- გადაცემა დამწყები ჟურნალისტებისათვის “ჩემი ხედვა”
- ლიტერატურული გადაცემა - (ადგილობრივი და მოწვეული რესპოდენტ-წამყვანებით)

- "წარმატებული ადამიანების გზა" – (ადგილობრივი საქმიანები ადამიანები და ბიზნესი)
- დღის თემა - (საზოგადოებრივ პოლიტ.თოქ-შოუ)
- "ექიმი გისმენთ" – (ინტერაქცია)
- "იურიდიული კონსულტაცია" – (ინტერაქცია)
- ამინდი
- "საჭირო და საინტერესო" – ანონსი - ვალუტის კურსი, აფიშა, ივენთები, დღესასწაულები, რელიგიური დღესასწაულები, ვაკანსია, ასტროლოგია, პრეს-ნიუსი, მოდის სამყარო.

რადიო უზრუნველყოფს მსმენელისათვის ობიექტური და დაბალანსებული ინფორმაციის მიწოდებას. ჟურნალისტებისგან მაქსიმალურად მოთხოვნილი იქნება პროფესიული სტანდარტებისა და ეთიკური ნორმების დაცვა, სამოქალაქო საზოგადოების ინფორმირება, ხარისხიანი შემეცნებით-გასართობი პროდუქციის მომზადება და მსმენელისათვის მიწოდების უზრუნველყოფა.